ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3686750

ნომერი: AR1551853

თარიღი : 24.10.2017

გაცემის თარიღი : 16.11.2017

გაცნობის თარიღი : 16.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ხატაეთის ქუჩა , N 41 / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ხატაეთის ქუჩა , N 39 / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ხატაეთის ქუჩა , N 39ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა გოგლიძე პ/ნ 01019063777
- თბილისი პ.მამრაძის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის

24 ოქტომბრის №AR1551853 განცხადებით მომართა მოქ. ლუკა გოგლიძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სოფელი დიღომში , ხატაეთის ქუჩა N 41-ში, N 39-ში და N 39ა-ში, შპს "ემიქსი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.72.14.036.735), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ სამსახურის 2017 წლის 13 ოქტომბრის №3581657 ბრძანებით გასწორდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკურ შეცდომა, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდა 6994.2 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 5606 კვ.მ, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 685 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდა 703.2 კვ.მ; განაშენიანების ფართობად დაფიქსირდა 1001.3 კვ.მ, შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე დაფიქსირდა 28.55 მ, 0.00 ნიშნულის ზევით დაფიქსირდა 28.1 მ; 0.00 ნიშნულის ქვევით დაფიქსირდა 0.45 მ; სამშენებლო მოცულობად დაფიქსირდა 27312.0 კუბ.მ; 0.00 ნიშნულის ზევით დაფიქსირდა 26880.0 კუბ.მ; 0.00 ნიშნულის ქვევით დაფიქსირდა 432.0 კუბ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად ნაცვლად 5204,9 კვ.მ-სა დაფიქსირებულია 5606 კვ.მ, საზაფხულო ფართობად ნაცვლად 575,3 კვ.მ-სა დაფიქსირებულია 685 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად ნაცვლად 1040,0 კვ.მ-სა დაფიქსირებულია 703.2 კვ.მ, საერთო ფართობად ნაცვლად 6820,2 კვ.მ-სა დაფიქსირებულია 6994.2 კვ.მ. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმების შტამპებზე ფართობები შეცდომითაა დაფიქსირებული. შესაბამისად, ითხოვს სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისი გეგმების 2017 წლის 24 ოქტომბრის №AR1551853 განცხადებით წარმოდგენილი შესაბამისი გეგმებით ჩანაცვლებას.

სამსახურმა 2017 წლის 24 ოქტომბრის №AR1551853 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 ივლისის №3418776 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 6820.2 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 5204.9 კვ.მ, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 575.3 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 1040.0 კვ.მ.
2. ჩანაცვლდეს 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანების თანდართული შესაბამისი გეგმები 2017 წლის 24 ოქტომბრის №AR1551853 განცხადებით წარმოდგენილი შესაბამისი გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3288603 და 2017 წლის 13 ოქტომბრის №3581657 ბრძანებებთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge